

პროფესიული გადამზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვებით	
პროგრამის სახელწოდება:	კლდეზე ცოცვის გამყოლი
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Rock Climbing Guide
პროგრამის სახე:	პროფესიული გადამზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	101 - პერსონალური მომსახურებები
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	5 - პროფესიული გადამზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	8
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	8
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	8
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	5
პროგრამის აღწერა	
<p>პროგრამა ხორციელდება სავსელ პირობებში, სხვადასხვა ქანისა და რელიეფის ბუნებრივ კლდეებზე. სწავლების პროცესი მიმდინარეობს ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. აქტივობების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/4-ზე. სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება ერთდროულად, შერეული ფორმით. მიმდინარე შეფასება ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა) კი</p>	

ჩატარდება სწავლის ბოლოს და შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, 320 საათის მოცულობით, რომელიც გადანაწილებულია ერთ სასწავლო წელზე, ოთხივე სემონის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით გათვალისწინებული მეხუთე და მეექვსე კვირა ხორციელდება თურქეთის პროვინცია გეიკბაირში. სწავლების დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება ორიენტირება და ნავიგაცია გარემოში, კლდეზე ცოცვის ტურის დაგეგმვა, კლდეზე საცოცი მარშრუტის შერჩევა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა, კლდეზე ცოცვა ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, მობილური დაცვის აღჭურვილობით შუალედური დაცვების გამზადება, დაცვის სადგურების ორგანიზება, საცოც მარშრუტებზე სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება, On sight, Flash და Red point ცოცვის სტილით ცოცვა, ხელოვნურ კედელზე ცოცვის სწავლება დამწყები მეკლდეურებისთვის, ხელოვნურ კედელზე საცოცი მარშრუტების აწყობის სწავლება.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია გადაამზადოს კლდეზე ცოცვის პრაქტიკოსი გამყოლები, რომლებსაც ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა-უნარები, რომ სხვადასხვა სირთულის და დისციპლინის კლდის მარშრუტებზე სტუმრებს გაუწიონ გამყოლობა. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ველურ ბუნებაში უსაფრთხოდ გადაადგილება-ნავიგაციას, კლდეზე ცოცვის ტურების დაგეგმვას და მის უსაფრთხოდ ჩატარებას, კლდეზე ცოცვისთვის აუცილებელი სხვადასხვა აღჭურვილობის გამოყენებას, დაეუფლებიან კლდეზე ცოცვის სხვადასხვა ტექნიკებს. ისინი მომზადებული იქნებიან როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური გამონვევებისთვის, რაც კლდეზე ცოცვის გამყოლის პროფესიისთვის არის დამახასიათებელი; ასევე შეძლებენ ნებისმიერ კლდოვან რელიეფზე სამაშველო ოპერაციების ჩატარებას.

პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა: 1

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:

40

სწავლის შედეგები:

1. პირველადი გადაუდებელი დახმარება.
2. შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში.

სწავლების მეთოდები:

- დემონსტრირება
- ინსტრუქტაჟი
- პრაქტიკული მეცადინეობა

შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C
თემატიკა	
პირველადი გადაუდებელი დახმარება	
<ul style="list-style-type: none"> • პირველადი დახმარების მნიშვნელობა და პოზიციები; • გულის გაჩერება და გულ-ფილტვის რეანიმაცია; • სასუნთქი გზების უცხო სხეულით დახშობა; • სისხლდენის შეჩერება; • გადაუდებელი ტრავმის საბაზისო მართვა და ნახვევების დადება; • ჭრილობების მართვა; • დამწვრობის მართვა; • წყალში დახრჩობა; • ნარკოტიკებით ზედღობირების მართვა; • ანაფილაქსია; • კრუნჩხვა, გულის წასვლა; • თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა (ინსულტი); • გულ-მკერდის ტკივილი; • ელექტრო ტრავმის მართვა; • სითბური დაკვრის, მოყინვის, ჰიპოთერმიის შემთხვევის მართვა; • ცხოველების ნაკბენების მართვა 	
შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში	
<ul style="list-style-type: none"> • სტუმარზე ზრუნვა სათავგადასავლო ტურზე მიზანსა და რისკებს შორის მისაღები ბალანსი; ტურისტთან/ტურისტულ ჯგუფთან მუშაობის პრიორიტეტები: უსაფრთხოება-კომფორტი-მიზნის მიღწევა; უსაფრთხოების უზენაესობა; ტურისტების და გამყოლის ამბიციების დათმობა; ტურისტის/ტურისტთა ჯგუფის კომფორტის უზრუნველყოფა: ჯგუფის მოძრაობის ტემპის შეჩერება, კომუნიკაცია ტურისტთან/ტურისტთა ჯგუფთან, პრობლემური სიტუაციების მართვა; ჯგუფის კონტროლი: ფარული ლიდერების კონტროლი; ირიბი, პირდაპირი, ფიზიკური კონტროლის მეთოდები; ჯგუფის წევრთა მხარდაჭერა საყვედურების, გაღიზიანებული ტონით საუბრის ყურადღებით მოსმენა, მხარდაჭერის გამოხატვა, პირადული ტონით, კლიენტზე ორიენტირებული გულწრფელი და ავტორიტეტული საუბარი, დამშვიდება - პრობლემის გადაჭრა • რისკების მართვის და ინციდენტზე რეაგირების პრინციპები <p>რისკების მართვა, RAMER ფორმულა;</p> <p>საფრთხეების გამოვლენა: ადამიანისგან მომავალი საფრთხეები, გარემოსგან მომავალი საფრთხეები;</p>	

საფრთხეების ანალიზი: სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რისკის მიმღებლობის დონე;

რეაგირება ინციდენტზე: ინციდენტზე რეაგირების წესები, ინციდენტის ზეგავლენის მინიმიზაცია ადამიანზე;

სიტუაციური ანალიზი სამაშველო ოპერაციის დაწყებამდე: რადიოსიგნალის გადაცემა სავარაუდო კოორდინატების მითითებით, მაშხალის გაშვება; საკუთარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება; ჯგუფის რესურსის განსაზღვრა, დამხმარე ძალის შერჩევა, ჯგუფის წევრების უსაფრთხოდ ევაკუაცია დაცულ ადგილას; აღიდეგებული მდინარე და ზოგადად მდინარეზე გადასვლის ორგანიზება.

- ტურის დაგეგმვა

ტურის სავალდებულო მოთხოვნები: ტურისტთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების დაცვის უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა.

ტურის რეკომენდირებული მოთხოვნები: დანიშნულებასთან შესაბამისობა, შესრულების სიზუსტე, მომსახურების ეთიკურობა, კომფორტულობა, ესთეტიურობა, ერგონომიულობა, ოპერატიულობა; ტურისტული ჯგუფის სეგმენტაცია სქესის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, მატერიალური შესაძლებლობის, განათლების, ინტერესების, ამა თუ იმ ტიპის გაერთიანებას მიკუთვნებულობის მიხედვით; ტურისტული ჯგუფის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მარშრუტის (სვლაგების შედგენა); მანძილის, მარშრუტის სირთულის, ჯგუფის წევრთა მონაცემების, მეტეოროლოგიური პროგნოზის გათვალისწინებით ტურის ხანგრძლივობის, საკვებისა და წყლის რაოდენობის განსაზღვრა; რუკის ელემენტები, ლეგენდები, მათი გამოყენებით რუკაზე სვლაგების გადატანა; სვლაგების კოორდინატების ატვირთვა ნავიგატორში. მარშრუტზე არსებული ბუნებრივი და ანთროპოგენული მატერიალური ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. მარშრუტზე არსებული საჭირო ინფრასტრუქტურა:

საავტომობილო და არასაავტომობილო, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდი,

გვირაბი, საბაგირო, საავადმყოფო, მედპუნქტი, სამაშველო სამსახური;

კვების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ჭურჭელი, მათი ფორმა და მასალა. ტურის სავარაუდო ბიუჯეტის შედგენა (ტურისტთა რაოდენობის, ტრანსპორტის მომსახურების, საკვებისა და წყლის რაოდენობის, სხვადასხვა მომსახურების ხარჯების

გათვალისწინებით); ნაღდი ფულით ოპერირების წესები, ხარჯთაღრიცხვის წარმოება,

ანგარიშგების დოკუმენტები: ანგარიშგების განუული ხარჯები: სტანდარტული ფორმები.

ნაღდი ფულის მოთხოვნის ფორმა; ხარჯთაღრიცხვის ფორმები, ჩეკი, მიღება-ჩაბარების აქტი, ვაუჩერი, ხელწერილი.

- ორიენტირება და ნავიგაცია

გარემო ჩვენს გარშემო, ბუნებრივი გარემოს კლასიფიკაცია, სხვადასხვა გარემოს

სპეციფიკური მახასათებლები, ტყე, ნახევრადუდაბნო, უდაბნო, სტეპი, სუბალპური,

ალპური ზონა, მაღალმთიანი გარემო, თოვლიანი რელიეფი, გარემოში არსებული

ბუნებრივი სანავიგაციო ორიენტირები; სანავიგაციო ორიენტირების კლასიფიკაცია;

ტოპოგრაფიული რუკა, რუკის ლეგენდა, რუკის ლეგენდის ელემენტები, მათი

აღმნიშვნელი სიმბოლოები, იზოხაზები, კროკები, გარემოსა და რუკის კორელაცია

ბუნებრივ ორიენტირებზე დაყრდნობით; სვლაგეზზე არსებული საფრთხეების (ხევი, წყალვარდნილი, ციცაბო ფერდი, კლდოვანი რელიეფი, ღრმული, მყინვარი, ბერგშრუნდი, ნაპრალი) შესწავლა; სვლაგეზზე არსებული-სვლაგეზის განსახორციელებლად საჭირო და აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოძიება და შესწავლა;

სანავიგაციო ინსტრუმენტების (კომპასი, სახაზავი) გამოყენებით სვლაგეზის შედგენა; საფრთხეებისა და საჭირო ინფრასტრუქტურის გადატანა ტოროგრაფიულ რუკაზე სანავიგაციო ინსტრუმენტების გამოყენებით. შედგენილი და რუკაზე გადატანილი სვლაგეზის მიხედვით ბუნებრივ გარემოში ორიენტირება; გაუთვალისწინებელი გარემოებები და საფრთხეები (თოვლი, ხოშკაკალი, თავსხმა წვიმა, შებლუდული მხედველობა ნისლი, ქარბუქი, წყალდიდობა, ბუნებრივი და მოულოდნელი დაბრკოლებები) სვლაგეზის ადგილზე კორექტირება გაუთვალისწინებელი გარემოებებისა და საფრთხის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანა შედგენილ სვლაგეზში .

სანავიგაციო კომპიუტერული პროგრამა, სვლაგეზის შედგენა პროგრამაში, GPS ნავიგატორი მისი დანიშნულება, აგებულება და გამოყენების წესი, GPS ნავიგატორის მაჩვენებლები (კოორდინატები, სიმაღლე ზღვის დონიდან, მოძრაობის მიმართულების აზიმუტი) სვლაგეზის უშეცდომოდ ატვირთვა GPS ნავიგატორში; GPS ნავიგატორის ჩვენებისა და გარემო ორიენტირების კორელაცია, ტურის მსვლელობის ჩანერა ნავიგატორში.

სასწავლო კვირა: 2

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
სწავლის შედეგები:	3. კლდეზე ცოცვის ტურის დაგეგმვა. 4. კლდეზე საცოცი მარშრუტის შერჩევა. 5. უსაფრთხოების ნორმების დაცვა. 6. ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა.
სწავლების მეთოდები:	დემონსტრირება პრაქტიკული სავარჯიშო ინსტრუქტაჟი პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C

თემატიკა

თემატიკა

კლდეზე ცოცვის ტურის დაგეგმვა და მარშრუტის შერჩევა:

- ტურისტული ჯგუფის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით საცოცი

რაიონის შერჩევა;

- საცოც რაიონთან მისასვლელი მანძილის, მარშრუტის სირთულის, დღის განმავლობაში ფიზიკური და მენტალური აქტივობის/დატვირთვის განსაზღვრა;
 - მეტეოროლოგიური პროგნოზის გათვალისწინებით ტურის ხანგრძლივობის, საკვებისა და წყლის რაოდენობის განსაზღვრა;
 - წელიწადის სეზონისა და სხვადასხვა სიდიდის ჰგუფის შემთხვევებში, გარემოზე ზრუნვის და კლდესთან ქცევის წესების გაცნობა;
 - მაგნეზიის გამოყენების წესები; სტუმრის ინტერესისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე უსაფრთხო, მყარ კლდოვან ქანზე სათანადო სირთულის საცოცი მარშრუტის შერჩევა;
 - მარშრუტის რელიეფურობიდან გამომდინარე, რისკების გათვალისწინება და მარშრუტის შერჩევა;
 - გამონვევის სწორად შეფასება, სტუმრის სურვილისა და საცოცი დონის/გამოცდილების გათვალისწინება და მარშრუტის შესაბამისად შერჩევა;
 - თოკით დაზღვევის მეთოდის მართებულობის განსაზღვრა;
 - კლდეზე ცოცვის მარშრუტზე არსებული დაცვის წერტილთა შორის დამორებიდან გამონვეული მონყვეტის და მისგან გამონვეული რისკების დადგენა და თავიდან აცილება.
- ნებისმიერი ექსტრემალური, რისკის შემცველი ფაქტორების თავიდან აცილება, რაც კლდეზე ცოცვას თან ახლავს.

უსაფრთხოების ნორმების სწავლება

- კლდესთან მისასვლელი ბილიკის სირთულის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღება;
- კლდის რელიეფურობის, კლდის ძირში არსებული დასადგომი სივრცის სიდიდის და დახრილობის შეფასება და სტუმრის უსაფრთხო ადგილზე განთავსება;
- ქვათაცვენის რისკების გაცნობა და მოქმედების გეგმა.

ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები

- სტუმრის აღჭურვილობის უზრუნველყოფა;
- სტუმართან საცოცი ტერმინოლოგიის გაცნობა და შეთანხმება;
- კლდეზე დაცვის სამაგრების, სადგურების და პირადი აღჭურვილობის გამოყენების წესების გაცნობა, კლდეზე ცოცვისას და დაცვაზე დგომის დროს თოკთან ურთიერთობა და მისი წესები.
- მეწყვილის შემონმების ზედმინევით სწავლება.

სასწავლო კვირა: 3

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
სწავლის შედეგები:	7. კლდეზე ცოცვა ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების

	გათვალისწინებით.
სწავლების მეთოდები:	დემონსტრირება პრაქტიკული სავარჯიშო ინსტრუქტაჟი პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C

თემატიკა

კლდეზე ცოცვისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება და ცოცვის უსაფრთხოებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება

- კლდეზე ცოცვისთვის აუცილებელი აღჭურვილობის გაცნობა და მათი სწორად გამოყენების წესები;
- დაცვის ხელსაწყოების გაცნობა და დაცვაზე დგომის სპეციფიკები სხვადასხვა დაცვის ხელსაწყო გამოყენების შემთხვევაში ზედა და ქვედა დაცვით ცოცვის შემთხვევაში;
- სპორტულ კლდეზე ცოცვის მარშრუტზე შუალედური დაცვების გაკეთება მყარი პუნქტების გამოყენებით, მარშრუტის უსაფრთხოდ აღჭურვა და თოკთან ურთიერთობის მენეჯმენტი;
- ქვედა დაცვით ცოცვისას დაცვაზე დგომის სპეციფიკები;
- მიწასთან ახლოს ცოცვის დროს სხვადასხვა დაზღვევის მეთოდები;
- მონყვეტები და მისი მენეჯმენტი ზედა და ქვედა დაცვით ცოცვის შემთხვევაში; სტატიური და დინამიური მონყვეტები, მათი აქტიურად გამოყენების და თავიდან აცილების გზები და აუცილებლობები; კლდის რელიეფისა და სიმაღლის გათვალისწინებით, მონყვეტის შეჩერების სტილის განსაზღვრა და მათი განსხვავებები.
- მონყვეტით გამონვეული წარმოქმნილი ძალის განსაზღვრა და მისი მოქმედება აღჭურვილობასა და დამცავზე; მონყვეტის და მუხრუჭის მანძილის განსაზღვრა და მისი შეჩერება უსაფრთხოდ ადგილზე; მცოცავსა და დამცველს შორის წონის სხვაობების განსაზღვრა და მასთან გამკლავების ხერხები;
- მონყვეტის დინამიურად გაჩერების ვარიანტები და მათი გამოყენების სპეციფიკა;
- კლდეზე ცოცვის მარშრუტზე დაცვის სადგურების განსხვავებების სწავლება და მათთან გამკლავების ხერხები; დაცვის სადგურის სწორად აღჭურვა, მასზე დაცვის უსაფრთხოდ დამაგრება, როგორც ცოცვისთვის, ასევე მარშრუტზე არსებული აღჭურვილობის დახსნისთვის; დაცვის სადგურზე გადაჯდომის სპეციფიკები;
- მარშრუტის აღჭურვილობისგან გათავისუფლების ხერხები და მათი სპეციფიკა გარკვეულ სიტუაციებში, როგორც მცოცავისთვის, ასევე დამცავისთვის.

სასწავლო კვირა: 4	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
სწავლის შედეგები:	8. მობილური დაცვის აღჭურვილობით შუალედური

	დაცვების გამზადება. 9. დაცვის სადგურების ორგანიზება. 10. საცოც მარშუტებზე სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება.
სწავლების მეთოდები:	დემონსტრირება პრაქტიკული სავარჯიშო ინსტრუქტაჟი პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C

თემატიკა

მობილური დაცვის აღჭურვილობით (საკვებები, კლდის პალოები, ფრენდები) შუალედური დაცვების გამზადება

- სამაშველო აღჭურვილობა, გამძლეობა, გამოყენების წესები და ვადები;
- არსებული ხელსაწყოების გაცნობა, მათი თავისებურებები და მოქმედების პრინციპები (საკვებები, ფრენდები, კლდის პალოები და კლდის ანკერები);
- კლდეზე მობილური დაცვების გამზადებისთვის შესაბამისი ადგილების შერჩევა;
- ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ბზარებში მობილური ხელსაწყოების დამაგრება;

დაცვის სადგურების ორგანიზება

- მყარი და საეჭვო დაცვის პუნქტები;
- მიმდევრობითი და წონის გამანაწილებელი დაცვის სადგურების აწყობა;
- ერთ მყარ წერტილზე დაცვის სადგურის აწყობა;
- მოქმედი ძალების განაწილება დაცვის სადგურის წერტილებზე და ცენტრალურ პუნქტზე;
- დაცვის სადგურის ორგანიზება პერმანენტული ლიდერობის დროს;
- დაცვის სადგურის ორგანიზება მონაცვლეობითი ლიდერობის დროს;

საცოც მარშუტებზე სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება ხელთარსებული საშუალებებით

- სამაშველო ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო გამყოლი, ჩამჭიდი, დამაფიქსირებელი და სამუხრუჭე კვანძები;
- სამაშველო ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო დამხმარე აღჭურვილობის გამოყენების წესები;
- თოკის დაგრძელების მეთოდები დაცვაზე დგომის დროს;
- თოკის დაგრძელების მეთოდები დაზარალებულის კლდიდან დაშვების

განსახორციელებლად;

- თოკის გამონთავისუფლების მეთოდები და მისი გამოყენება დაზარალებულის დაცვის სადგურზე აქაჩვისთვის;
- სტუმრის სწრაფი ამოქაჩვა 1:3 ძალის დაზოგვის პრინციპით;
- დაზარალებულის დაცვის სადგურზე აქაჩვა თავისუფალი რგოლის გამოყენებით, ძალის დაზოგვის 1:2 პრინციპით.
- დაზარალებულის დაცვის სადგურზე აქაჩვა შვეიცარიული „პოლისპასტის“ მეთოდით. ძალის დაზოგვა 1:5 პრინციპით;
- დაზარალებულის დაცვის სადგურზე აქაჩვა მაშველის სხეულის წონის გამოყენებით;
- უარყოფით რელიეფზე ლიდერის მონყვეტის დროს დაცვის სადგურზე მისი შემოქაჩვის მეთოდი;
- დაზარალებულის დაცვის სადგურიდან დაშვება დაცვის სადგურების მონაცვლეობით ერთი და ორი მაშველის შემთხვევაში;
- დაზარალებულის ტრანსპორტირება ხელთარსებული საშუალებებით.

სასწავლო კვირა: 5

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
სწავლის შედეგები:	11. On sight და Flash ცოცვის სტილით ცოცვა.
სწავლების მეთოდები:	დემონსტრირება პრაქტიკული სავარჯიშო ინსტრუქტაჟი პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C

თემატიკა

კლდეზე ცოცვის On sight და Flash სტილის გაცნობა, მათი განსხვავებები და განსაკუთრებულობა. თვითთვით სტილის ცოცვისთვის ფიზიკური და მენტალური უნარების ჩამოყალიბება. ყოველი სტილის ცოცვისთვის სპეციფიური ტექნიკისა და სტრატეგიის შემუშავება; ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვა-დამუშავება.

მარშრუტის სწორად არჩევა On sight სტილით ცოცვისას:

- მარშრუტის გასავლელად წინასწარ ფიზიკურად და მენტალურად მომზადება;
- მარშრუტის არჩევის სპეციფიკა, მოტივაციის წყაროების გარჩევა და მათი მნიშვნელობები;
- მარშრუტის სირთულის დონის მენტალურად გამკლავების მეთოდები;
- მარშრუტის წინასწარი შესწავლის მეთოდები, დაკვირვება ხელის საჭიდების, პოტენციური დასასვენებელი ადგილების და პოზიციების, ასევე განსაკუთრებულად რთული მონაკვეთების დაკვირვების და მისი გავლის მეთოდების წინასწარი გათვლა;

- მარშრუტის ცოცვის სტრატეგიის შემუშავება; მარშრუტის დაყოფა მოკლე მონაკვეთებად და შემდეგ ყველას ერთად გადაბმა;
- მარშრუტის გონებით დამახსოვრება, ვიზუალიზაცია და გონებაში მისი გავლის წარმოდგენა;
- დაკვირვება ყველა ობიექტური და სუბიექტური საფრთხეების, მათი შესწავლა და წინასწარ მათთან გამკლავების ხერხების შემუშავება;
- მარშრუტის გასავლელად წინასწარ კონცენტრირება და მენტალურად მომართვა;
- მარშრუტის კონკრეტული მონაკვეთიდან გამომდინარე, ცოცვის ტემპის სწორად შერჩევა;
- დაცვის გასაკეთებლად კომფორტული სხეულის პოზიციის მოძებნა;
- გონებაში წინასწარ გამომუშავებული გავლის მეთოდის, უშუალოდ ცოცვის დროს შეცვლის უნარის გამომუშავება;
- სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება და სიმშვიდის შენარჩუნების ხერხები;
- სუნთქვის მეთოდები და მისი გაკონტროლების ხერხები;
- ვარჯიში სხვადასხვა მარშრუტებზე.

Flash სტილით მარშრუტის გავლისთვის საჭირო მზადება:

- მარშრუტის გასავლელად წინასწარ ფიზიკურად მომზადება, კონცენტრირება და მენტალურად მომართვა;
- მარშრუტზე არსებული ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება და შესწავლა;
- წინასწარ კლდის რელიეფის „ნაკითხვა“ და მისი სავარაუდო გავლის გზების დამუშავება;
- მენყვილესთან Flash სტილის ცოცვისთვის სპეციფიური ტერმინოლოგიის შემუშავება-შეთანხმება;
- მენყვილესთან მარშრუტის ინფორმაციის დეტალურად აღწერის სპეციფიკის შესწავლა და ერთმანეთთან ნდობის გამომუშავება;
- რთულ მონაკვეთებთან მენტალურად და ფიზიკურად გამკლავების მეთოდები;
- ცოცვის ტემპის ზედმინევნიტ განსაზღვრა და უშუალოდ ცოცვის დროს აღსრულება;
- მარშრუტზე დასასვენებელი პუნქტების სტრატეგიულად განჭვრეტა;
- წინასწარ შემუშავებული მარშრუტის გავლის მეთოდის სპონტანურად შეცვლის გონებრივი მზაობა;
- საკუთარი უნარ-ჩვევების ნდობა და კლდეზე უსწრაფესი გადანყვეტილებების მიღება;
- სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება და სიმშვიდის შენარჩუნების ხერხები;
- სუნთქვის მეთოდები და მისი გაკონტროლების ხერხები;
- ვარჯიში სხვადასხვა მარშრუტებზე.

სასწავლო კვირა: 6

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 40

სწავლის შედეგები: 12. Red point ცოცვის სტილით ცოცვა.

სწავლების მეთოდები: დემონსტრირება
პრაქტიკული სავარჯიშო
ინსტრუქტაჟი

	პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C

თემატიკა

Red point სტილით მარშრუტის გავლის განსაკუთრებულობა. მარშრუტის გავლისთვის საჭირო გეგმის შემუშავების უნარების ჩამოყალიბება.

Red point სტილით მარშრუტის გავლა:

- მარშრუტის სწორად შერჩევა;
- მარშრუტზე რთული საკვანძო მონაკვეთების ფსიქოლოგიურად დაძლევის მეთოდები;
- სხვადასხვა მიზეზით ფსიქოლოგიური ბენოლის ერთმანეთისგან გარჩევა, მასთან გამკლავების ხერხები;
- ფსიქოლოგიური ბარიერები Red point სტილით ცოცვისას;
- შინაგან და გარე მოლოდინებთან გამკლავების ხერხები;
- ფიზიკური და მენტალური სისუსტეები;
- მარშრუტის მონაკვეთების დამუშავების ხერხები;
- ცოცვის მოძრაობების დამუშავება;
- მარშრუტის ოპტიმიზაცია;
- სხეულის ოპტიმალური პოზიციიდან, დაცვის წერტილებზე დაცვის დამაგრება;
- რთულ სპორტულ მარშრუტზე მუშაობის და გავლის ფსიქოლოგიური და ფიზიკური უნარები;
- ვარჯიში სხვადასხვა მარშრუტებზე.

სასწავლო კვირა: 7

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
სწავლის შედეგები:	13. ხელოვნურ კედელზე ცოცვის სწავლება დამწყები კლდეზე მცოცავებისთვის. 14. ხელოვნურ კლდეზე საცოცი მარშრუტების აწყობის სწავლება.
სწავლების მეთოდები:	დემონსტრირება ინსტრუქტაჟი პრაქტიკული სავარჯიშო პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C

თემატიკა

ხელოვნურ კლდეზე ცოცვის დარბაზების განსხვავება ცოცვის ტიპის მიხედვით. ბოლდერიინგი, როგორც კლდეზე ცოცვის ერთ-ერთი დისციპლინა.

უსაფრთხოების წესები;
 ვარდნა და უსაფრთხოდ დაცემა დამცავ ლეიბებზე;
 განსხვავების განსაზღვრა ბუნებრივ და ხელოვნურ კლდეზე ბოლდერინგში;
 ბოლდერინგის მარშრუტების სირთულის განსაზღვრა;
 საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარის დადგენა;
 ვარჯიში ფიზიკური შესაძლებლობების ზღვართან ახლოს და ზღვრების გაფართოება;
 ვარჯიში სპეციფურ მოძრაობებზე, დაბალ სიმაღლეზე, უსაფრთხო გარემოში;
 ვარჯიში თითების გამძლეობის ასაშენებლად და სიმძლავრის შესანარჩუნებლად.

რთული ცოცვა.

განსხვავების განსაზღვრა ხელოვნურ და ბუნებრივ კლდეზე ცოცვაში
 რისკების შეფასება;
 დაცვაზე დგომის სპეციფიკა;
 მენჯვილის შემონახვა;
 მონყვეტა და უსაფრთხოების წესები;
 ვარდნის ფაქტორი და მასთან გამკლავების მეთოდები.

ზედა დაცვით ცოცვა.

ვარჯიში ინსტრუქტაჟის მიცემაში ახალბედა კლდეზე მცოცავებისთვის;
 დაცვაზე დგომის სპეციფიკა;
 თოკით ცოცვის გაცნობის მეთოდები დამწყები კლდეზე მცოცავებისთვის;
 დამწყები კლდეზე მცოცავის ფლიქოლოგიურად გამხნევების მეთოდები;
 დამწყები კლდეზე მცოცავისთვის ცოცვის ტექნიკის სანყისები.

მარშრუტების ანობა - Route setting.

ხელსაწყობის გაცნობა;
 უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა;
 ეფექტური მუშაობის უნარების გამომუშავება;
 მრავალფეროვანი მოძრაობებით დატვირთული მარშრუტის აწყობა;
 მარშრუტზე სირთულის მინიჭება;
 კომერციულ და საშეჯიბრო მარშრუტების აწყობის მოდელის განსხვავება;
 კომერციული კლდეზე ცოცვის მარშრუტების როლის განსაზღვრა;
 საშეჯიბრო მარშრუტების ასაწყობად კრიტერიუმების განსაზღვრა.

სასწავლო კვირა: 8	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	40
სწავლის შედეგები:	2. შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში.

	<p>3. კლდეზე ცოცვის ტურის დაგეგმვა.</p> <p>4. კლდეზე საცოცი მარშრუტის შერჩევა.</p> <p>5. უსაფრთხოების ნორმების დაცვა.</p> <p>6. ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა.</p> <p>7. კლდეზე ცოცვა ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.</p> <p>8. მობილური დაცვის აღჭურვილობით შუალედური დაცვების გამზადება.</p> <p>9. დაცვის სადგურების ორგანიზება.</p> <p>10. საცოც მარშრუტებზე სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება.</p> <p>11. On sight და Flash ცოცვის სტილით ცოცვა.</p> <p>12. Red point ცოცვის სტილით ცოცვა.</p> <p>13. ხელოვნურ კედელზე ცოცვის სწავლება დამწყები კლდეზე მცოცავებისთვის.</p> <p>14. ხელოვნურ კლდეზე საცოცი მარშრუტების აწყობის სწავლება.</p>
სწავლების მეთოდები:	დემონსტრირება
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C
თემატიკა	
განმსაზღვრელი შეფასება (გამოცდა)	

დაშვების წინაპირობები	
სამუშაო გამოცდილება	
კვალიფიკაცია პროგრამის შესამაბის დარგში	
101 - პერსონალური მომსახურებები	
1015.3.1 - სათავგადასავლო ტურიზმი	
კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის სფეროში	
1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	
ძველი კლასიფიკატორით განსაზღვრული კვალიფიკაცია	

0205 - ტურიზმი

ასაკი :18

ჯანმრთელობის ცნობა

აღწერა

ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100)

სხვა :ცოცვის დონე და ფიზიკური მომზადება

აღწერა

6c on sight, 7b red point (სამი ცდა)

სხვა :

აღწერა

მინიმუმ ერთი უცხო ენის ცოდნა

სხვა :პირადი აღჭურვილობა

აღწერა

აპლიკანტმა/მსმენელმა თან უნდა იქონიოს პირადი აღჭურვილობა. აღჭურვილობა უნდა აკმაყოფილებდეს შენახვის და ექსპლუატაციის ნორმებს.

საცოცი თოკი 9,8-10,5 მმ 60მ 1ც.

საცოცი თოკი 9,8-10,5 მმ 80მ 1 ც.

ექსპრესები 25, 30 20 ც.

დაცვის ქამარი ინდივიდუალური 1 ც.

ჩაფხუტი ინდივიდუალური 1 ც.

დაცვის ხელსაწყო რევერსო 1 ც.

დაცვის ხელსაწყო გრიგრი 1 ც.

თვითაცვის რგოლი 120 სმ 1 ც.

საცოცი ფეხსაცმელი ინდივიდუალური 1 ც.

მაგნეზიის ტომარა სტანდარტული 1 ც.

მაგნებია 250გ 1 ც.

დაცვის ხელსაწყო კარაბინი - Belay Master სტანდარტული 1 ც.

D ფორმის კარაბინი სტანდარტული 1 ც.

მსხლის ფორმის კარაბინი სტანდარტული 4 ც.

თოკის დასაფენი ინდივიდუალური 1 ც.

თეიფი 2სმ/10მ 1 ც.

დამხმარე თოკები ნმმ დინემა ან არამინდი 2 ც.

დამხმარე თოკი შეკრული რგოლი ნმმ არამინდი ან დინემა 30სმ 1 ც.

დამხმარე თოკი შეკრული რგოლი ნმმ არამინდი ან დინემა 120სმ 2 ც.

უკუსვლის შემაჩერებელი micro traxion 1 ც.

ჩამჭიდი ხელსაწყო T-block 1 ც.

საკვებების კრებული

ფრენდების კრებული

კლდის ჩაქუჩი 1 ც.

კლდის პალოების კრებული

ექსტრაქტორი 1 ც.

სხვა :პროგრამის სხვა მოთხოვნები:

აღწერა

მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

1. გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

- 2. შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში.
- 9. დაცვის სადგურების ორგანიზება.
- 1. პირველადი გადაუდებელი დახმარება.
- 3. კლდებზე ცოცვის ტურის დაგეგმვა.
- 5. უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
- 4. კლდებზე საცოცი მარშრუტის შერჩევა.
- 6. ტექნიკური უსაფრთხოების დაცვა.
- 11. On sight და Flash ცოცვის სტილით ცოცვა.
- 12. Red point ცოცვის სტილით ცოცვა.
- 13. ხელოვნურ კედელზე ცოცვის სწავლება დამწყები კლდებზე მცოცავებისთვის.
- 14. ხელოვნურ კლდებზე საცოცი მარშრუტების აწყობის სწავლება.
- 10. საცოც მარშრუტებზე სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება.
- 7. კლდებზე ცოცვა ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.
- 8. მობილური დაცვის აღჭურვილობით შუალედური დაცვების გამზადება.

დასაქმების სფერო/სფეროები

101 - პერსონალური მომსახურებები (ვინრო სფერო)

პროგრამის შემუშავების საფუძვლები

ეკონომიკური კლასიფიკატორი

ხელოვნება, გართობა და დასვენება - საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში

ლოკაცია და აღჭურვილობები

ლოკაცია:

რეგიონი	რაიონი	მისამართი
იმერეთი	ჭიათურა	ჭიათურის რაიონი, სოფ.

		კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები
აღჭურვილობები		
ტიპი	ზომის ერთეული	რაოდენობა
აკუმულატორიანი ბურღი პერფორატორით	ცალი	3
დამხმარე თოკი შეკრული რგოლი ნმმ არამიდი ან დინემა	ცალი	3
დამხმარე თოკი შეკრული რგოლი ნმმ არამიდი ან დინემა	ცალი	6
დაცვის ხელსაწყო გრიგრი	ცალი	3
დაცვის ხელსაწყო რევერსო	ცალი	3
დროებითი კლდის ანკერი	ცალი	10
ექსპრესები	ცალი	60
ექსტრაქტორი	ცალი	3
ექსტრაქტორი	ცალი	3
თვითაცვის რგოლი	ცალი	6
კლდის ანკერები	ცალი	100
კლდის სანმენდი რკინის ჯაგრისი	ცალი	3
კლდის სანმენდი ძალაყინი	ცალი	6
კლდის ჩაქუჩი	ცალი	3
მაგნეზია	ცალი	3
მაგნეზიის ტომარა	ცალი	3
მსხლის ფორმის კარაბინი	ცალი	12
საცოცი თოკი 9,8-10,5 მმ. 60 მეტრი	მეტრი	3
საცოცი ფეხსაცმელი	ცალი	3
სერთიფიცირებული კლდის სადგურის ჯაჭვი რგოლით	ცალი	10
უკუსვლის შემაჩერებელი micro traxion	ცალი	3
ჩამჭიდი ხელსაწყო T-block	ცალი	6
ჩაფხუტი	ცალი	3
დაცვის ხელსაწყო კარაბინი - Belay Master	ცალი	3
თეიფი	ცალი	3
თოკის დასაფენი	ცალი	3

D ფორმის კარაბინი	ცალი	3
4 ქიმიანი ბურღი - 8, 10, 12მმ	ცალი	6
დამხმარე თოკები 6მმ დინემა ან არამიდი	მეტრი	6
დაცვაზე სადგომი სპეციალური ხელთათმანი	ცალი	3
დაცვის ქამარი	ცალი	3
ლოკაცია:		
რეგიონი	რაიონი	მისამართი
თბილისი	ძველი თბილისი	კოსტავას ქ. N37. მეკლდეურთა სპორტული დარბაზი
ლოკაცია:		
რეგიონი	რაიონი	მისამართი
მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი	დაბა გუდაური, გონდოლას ზედა სადგური

სასწავლო რესურსები			
N:	ტიპი	დასახელება	მოკლე აღწერა
1	სასწავლო ლიტერატურა	ორიენტირება - ნავიგაცია (გზამკვლევი)	ორიენტირება - ნავიგაციის საფუძვლები.
2	სასწავლო ლიტერატურა	გზამკვლევი - კლდეზე ცოცვის ტექნიკა	გზამკვლევი განკუთვნილია კლდეზე ცოცვის შესწავლის მსურველებისთვის და მოიცავს კლდეზე ცოცვის როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკული კურსის თემატიკას.
3	სასწავლო ლიტერატურა	სსგა-ს რიდერი:ცოცვის ტექნიკა და მეთოდика	ცოცვის ტექნიკის და მეთოდის შესავალი კურსის

			თეორიული მასალა.
--	--	--	------------------

ადამიანური რესურსები

სახელი	არჩილ
გვარი	ცინცაძე
დაბადების თარიღი	22.12.1972
პირადი ნომერი	01017013437
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო

განათლება

ტიპი	პროფესიული
დანესებულება	მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი
კვალიფიკაცია	მთის და თხილამურის საერთაშორისო გამყოლი
ტიპი	პროფესიული
დანესებულება	მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი.
კვალიფიკაცია	მთის და თხილამურის საერთაშორისო გამყოლი.
ტიპი	პროფესიული
დანესებულება	საქართველოს სამთო გამოცდების სახელმწიფო სკოლა
კვალიფიკაცია	სამთო გამყოლი
ტიპი	უმაღლესი
დანესებულება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვალიფიკაცია	ინჟინერ-ჰიდროლოგი

ტრენინგები

სამუშაო გამოცდილება

24.9.2016	
კომპანია	ა(ა) იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
თანამდებობა	დორექტორი მოადგილე-სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი

სახელი	ანნა
გვარი	დულარიძე
დაბადების თარიღი	01.04.1989
პირადი ნომერი	43001021880

სქესი	მდედრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
განათლება	
ტიპი	უმაღლესი
დანესებულება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვალიფიკაცია	არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
ტიპი	უმაღლესი
დანესებულება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში
ტრენინგები	
კომპანია	საქართველოს სამთო გამყოფთა ასოციაცია GMGA
ტრენინგის დასახელება	ალპური გამყოფის უნარები
სამუშაო გამოცდილება	

სახელი	გურამ
გვარი	დაბრუნდაშვილი
დაბადების თარიღი	22.12.1985
პირადი ნომერი	01023009147
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
განათლება	
ტიპი	ზოგადი
დანესებულება	თბილისის 173-ე საშუალო სკოლა
კვალიფიკაცია	საშუალო განათლება
ტრენინგები	
სამუშაო გამოცდილება	
20.10.2015	
კომპანია	საქართველოს სამთო გამყოფთა ასოციაცია. GMGA
თანამდებობა	სამთო გამყოფთა ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

სახელი	დათუნა
გვარი	რაქვიაშვილი
დაბადების თარიღი	16.07.1968
პირადი ნომერი	01008005994
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო

განათლება	
ტიპი	პროფესიული
დანესებულება	საქართველოს სამთო გამყოლების სახელმწიფო სკოლა
კვალიფიკაცია	სამთო გამყოლი
ტიპი	უმაღლესი
დანესებულება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვალიფიკაცია	გეოლოგი
ტრენინგები	
კომპანია	ლივინგ რუთს რენჩ
ტრენინგის დასახელება	საცხენოსნო ტურები
კომპანია	ლივინგ რუთს რენჩ
ტრენინგის დასახელება	ცხენებისა და ღჭურვილობის მომზადება საცხენოსნო ტურებისთვის
სამუშაო გამოცდილება	
1.3.2023	
კომპანია	ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
თანამდებობა	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
10.11.2021 - 1.2.2023	
კომპანია	ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო
თანამდებობა	კვალიფიკაციების და პარტნიორობის გუნდის ლიდერი